RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

მიგრაცია – რუსული ჰიბრიდული ომის ახალი იარაღი: კრიზისი პოლონეთ–ბელარუსის საზღვარზე

გრიგოლ ჯულუხიძე

172

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გრიგოლ ჯულუხიძე

მიგრაცია - რუსული ჰიბრიდული ომის ახალი იარაღი: კრიზისი პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე

172

2021

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

კრიზის მოკლე აღწერა:

პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე მიგრანტები 2021 წლის ივლისში მასობრივად გამოჩნდნენ და მათი რიცხვი დღემდე იზრდება.[1] პოლონელი მესაზღვრეების ცნობით, მხოლოდ 7 ოქტომბერს საზღვრის უკანონო გადაკვეთის 500-ზე მეტი მცდელობა დაფიქსირდა, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე 2020 წლის მთლიანი სტატისტიკა (2021 წლის მონაცემებით, აგვისტო-ნოემბერში საერთო მაჩვენებელმა 30 000 შეადგინა).[2]



პოლონეთის საზღვრის დაცვის სამსახურის ოფიციალური Twitter-ის გვერდი

აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის (Ośrodek Studiów Wschodnich) დირექტორის ადამ ებერჰარდტის თქმით, ლუკაშენკოს მთავრობა თითოეული მიგრანტისგან 10 000 აშშ დოლარამდე იღებს და სანაცვლოდ, მინსკში ასეულობით მათგანი ჩამოჰყავს ბაღდადის, ბასრის, ირბილისა და სტამბოლის აეროპორტებიდან.[3]

ევროკავშირში არალეგალურად გადასვლის მსურველები პოლონეთ-ბელარუსის საზღვრამდე ჩამოდიან ბეირუთიდან, დუბაიდან და ანტალიიდან.[4]

ადამ ებერჰარდტის ოფიციალური Twitter-ის გვერდი

შემდეგ, სპეციალური კორიდორის მეშვეობით, მიგრანტები ევროკავშირის საზღვართან მიჰყავთ, სადაც მათ, ელემენტარული პირობის გარეშე, უმძიმეს ვითარებაში უწევთ ყოფნა, პოლონეთში, ლიეტუვაში ან ლატვიაში გადაპარვის იმედით. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ 2021 აგვისტოს ბოლოს პოდლასისა და ლიუბლინის სავოევოდოებში (პოლონეთ-ბელარუსის 418-კილომეტრიანი საზღვრის გასწვრივ), პოლონეთის რესპუბლიკის სეიმისა და სენატის განკარგულებით, პრეზიდენტმა ანდჟეი დუდამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.[5] უახლესი ინფორმაციით, ბელარუსის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი (Комитет государственной безопасности Республики Беларусь, КГБ) მიგრანტებს პოლონეთის საზღვრამდე აცილებს და მხუთავი აირით, რეზინის ტყვიებითა და მავთულხლართების საჭრელი სეკატორებით ამარაგებს.[6] ამასთან ერთად, ბელარუსი სამხედროები სპეციალურ ლაზერებს იყენებენ მხედველობის დროებით პარალიზება-შეზღუდვისთვის,[7] რაც იქ მყოფ მიგრანტებს საზღვრის ფარულად გადაკვეთის შესაძლებლობას უზრდის. პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ ოფიციალურ ვარშავას 15 000 ჯარისკაცის, 2 000 პოლიციელისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 4 000 მუშაკის მობილიზება მოუწია.[8]

კრიზისის მოტივები

რა თქმა უნდა, ევროკავშირ-ბელარუსის საზღვარზე ასეთი უპრეცედენტოდ მაღალი მობილობა ახლო აღმოსავლეთში ტურისტული ბუმით არ არის განპირობებული. მიზეზი გაცილებით უფრო სიღრმისეული და კომპლექსურია. ყველაფერი 2020 წლის აგვისტოში, ბელარუსში მასობრივად გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო, რასაც მთელი ოპოზიციური სპექტრის, არასამთავრობო სექტორისა და ლუკაშენკოსადმი კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეების მასობრივი რეპრესიები მოჰყვა. საპასუხოდ, ევროკავშირმა ოფიციალურ მინსკს სექტორული სანქციები დაუწესა, რამაც, მართალია, ძალიან მტკივნეული დარტყმა მიაყენა ბელარუსის მმართველ ელიტას, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც რიგით მოქალაქეებს გაურთულა ცხოვრება. დიახ, სანქციები ლუკაშენკოსაც შეეხო, თუმცა ბელარუსი მოქალაქეები უფრო მეტად დაზარალდნენ. მაგალითად, საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვამ, საზღვრების დაკეტვამ და დიპლომატიური მისიების დახურვამ უამრავი ადამიანი აიძულა ბელარუსში დარჩენილიყო.

სანქციების საპასუხოდ, ლუკაშენკომ მოქმედება მაშინვე დაიწყო. ვლადიმირ პუტინთან კონსულტაციების შემდეგ იგი ევროკავშირს დაემუქრა, რომ არალეგალი მიგრანტებისთვის სპეციალურ სატრანზიტო დერეფნებს შექმნიდა. მან დაპირება შეასრულა. მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა მინსკის წინააღმდეგ სანქციათა მეოთხე პაკეტი მიიღო, ლუკაშენკომ მიგრაციის იარაღად გამოყენება დაიწყო. ახლო აღმოსავლეთიდან ბელარუსის მიმართულებით ფრენები მკვეთრად გაიზარდა, ხოლო ე.წ. ტურისტულმა კომპანიებმა სპეციალური შეთავაზებები მოამზადეს ქვეყნის დასავლეთ საზღვართან „ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად". თავდაპირველად მიზანში ლიეტუვა ამოიღეს, რომელმაც ლტოლვილთა პირველ ტალღას თავისსავე ტერიტორიაზე გახსნილ სპეციალურ ბანაკებში უმასპინძლა.

ერაყელებმა, ავღანელებმა, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა მოულოდნელად ბელარუსში ჩასვლა დაიწყეს, თუმცა ქვეყანაში მათი მასობრივი შედინება ადგილობრივებისთვის შეუმჩნევლად მიმდინარეობს. ამ მიგრანტებს ქუჩებში ან თუნდაც საზღვრისპირა ქალაქებში ვერ ნახავთ. ისინი არც მაღაზიებში დადიან და არც რესტორნებში. მიგრანტებს მინსკის აეროპორტიდანვე „აცილებენ" პოლონეთ-ბელარუსის საზღვრამდე. ამ „კონტრაბანდულ" პროცესში ბელარუსი ტაქსის მძღოლებიც კი არიან ჩართული. მიგრანტების პოლონეთის საზღვრამდე გადაყვანის სანაცვლოდ, ისინი საკმაოდ სოლიდურ თანხას იღებენ. თუმცა უცნობია, ამ ფულს თავად მიგრანტები იხდიან თუ ბელარუსის ხელისუფლება.

კრიზისის ფინანსურ-პოლიტიკური განზომილების ანალიზი

ერთი მხრივ, ეს ყველაფერი ბიზნესია ადგილობრივი მმართველი ელიტისთვის. მიგრანტებისგან მიღებული შემოსავალი იმ ზარალის შემცირების საშუალებას იძლევა, რაც გამოწვეულია სანქციებით, რომელიც ევროკავშირმა ლუკაშენკოს რეჟიმს დაუწესა ბელარუსში ოპოზიციისა და სამოქალაქო უფლებების წინააღმდეგ გატარებული რეპრესიების გამო. ეს მიდგომა ადგილობრივ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, შეინახოს მინსკის საერთაშორისო აეროპორტი და სახელმწიფო ავიაკომპანია „ბელავია“. ბელარუსის ხელისუფლების მიერ მიგრანტებისგან მიღებული თანხები პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის მხარდაჭერასაც ხმარდება. ეს უკანასკნელი უწყება კი ტურისტული სააგენტო CENTRKURORT/ ЦЕНТРКУРОРТ-ის საქმიანობას ზედამხედველობს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მიგრანტების ბელარუსში შეყვანაში.[9]

მეორე მხრივ კი, ეს არის მიგრაციის იარაღად გამოყენება იმ ჰიბრიდული ომის ფარგლებში, რომელსაც მინსკი და, უპირველეს ყოვლისა, მოსკოვი აწარმოებენ დასავლეთის წინააღმდეგ. პრორუსული მედიასაშუალებები, გავლენის აგენტები და სასარგებლო იდიოტები მუდმივად იმეორებენ, რომ პოლონელი და ლიეტუველი მესაზღვრეები მიგრანტებს სცემენ, ამცირებენ, საშინლად ეპყრობიან, დასცინიან და ამ ყველაფერში, უწინარესად, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, ევროკავშირსა და პოლონეთს ადანაშაულებენ (ეს უკანასკნელი ბელარუსისთვის სანქციების დაწესების მთავარი ინიციატორი იყო). სინამდვილეში, ჰუმანიტარულ კოლონას, რომელიც პოლონეთიდან და ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოებიდან მიგრანტებისთვის იგზავნება, ძალიან ხშირად ბელარუსის სახელმწიფო სასაზღვრო კომიტეტი და კაგებე ბლოკავს.[10] [11]

აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის ექსპერტ პიოტრ ჟოხოვსკის აზრით, კრემლის ოფიციალურ წარმომადგენელთა განცხადებები ცხადყოფს, რომ მოსკოვი არ აპირებს უარი თქვას ლუკაშენკოს რეჟიმის პოლიტიკურ მხარდაჭერაზე. რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავისი ნაბიჯები წარმოადგინოს, როგორც გამართლებული და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისი. გარდა ამისა, მოსკოვი ცდილობს არ გამოჩნდეს, როგორც მთავარი აქტორი, რათა ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნას. კრემლი ღრმადაა დაინტერესებული კრიზისის კონტროლირებადი ესკალაციით, რაც დასავლეთზე პოლიტიკურ-კინეტიკური ზეწოლის შესაძლებლობას მისცემს. ლუკაშენკოს ამჟამინდელი ქმედებები ძალიან ხელსაყრელია რუსეთისათვის, რადგან ამით ძლიერდება ზეწოლა პოლონეთზე და მთლიანად ევროკავშირზე. ამასთან ერთად, ამ მოქმედებით პუტინი პოლონეთის უსაფრთხოების სისტემის, მისი შეიარაღებული ძალებისა და ნატოს მედეგობას ამოწმებს. ამავდროულად, არსებული ვითარება ლუკაშენკოს საერთაშორისო იზოლაციას აღრმავებს და ის კიდევ უფრო მეტად ეჯაჭვება რუსეთს.

ამ მოცემულობაში მოსკოვი ერთგვარ მედიატორადაც კი შეიძლება მოგვევლინოს მინსკსა და ბრიუსელს შორის.[12]

მარეკ ბუჯიში, ექსპერტი აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში, აღნიშნავს, რომ ვლადიმირ პუტინი კრიზისის მთავარი მოთამაშე გახდა: „პუტინის ამოცანები საკმაოდ ნათელია და მათი უმეტესობა მან უკვე შეასრულა. უპირველეს ყოვლისა, ხელმოწერილია შეთანხმება ახალი სამხედრო დოქტრინის შესახებ (რუსეთსა და ბელარუსს შორის). ორი რუსული სამხედრო ობიექტის ბელარუსში ყოფნა 25 წლით გახანგრძლივდა (რუსეთის საზღვაო ძალების საკომუნიკაციო ცენტრი „ვილეიკა“ და სარადარო სადგური „ვოლგა“. და ბოლოს, ძალაში შევიდა თანამშრომლობის და ინტეგრაციის პროგრამა, რაც ლუკაშენკოს რეჟიმის და ქვეყნის ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად ზრდის“.[13]

სულ რაღაც ორი წლის წინ სიტუაცია რადიკალურად განსხვავებული იყო. ლუკაშენკო ცდილობდა თავისი პოლიტიკის ისე დაბალანსებას, რომ ურთიერთობა ჰქონოდა როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამ პოლიტიკური კრიზისის ესკალაციის შემთხვევაში (მაგალითად, შეიარაღებული კონფრონტაცია), მოსკოვი ლუკაშენკოს რადიკალურ მეთოდებს გაემიჯნოს, რადგან:

- სამხედრო დაპირისპირება რუსული კომპანიების ინტერესებს დააზარალებს;
- ომი Nord Stream 2-ის რეალიზაციისთვის პოლიტიკურ რისკებს შექმნის;
- თანამედროვე რუსეთის რესურსები გაცილებით უფრო მწირია, ვიდრე საბჭოთა კავშირის. შესაბამისად, მას არ ძალუძს ერთდროულად რამდენიმე ძვირადღირებულ ფრონტზე ოპერირება. მით უმეტეს, ისეთი ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ, როგორიც პოლონეთია (რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით ნატოს ფაქტორს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ალიანსის კოლექტიური თავდაცვის პუნქტს აამოქმედებს).[14]

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კრემლის მხარდაჭერა ლუკაშენკოსადმი მთლად უპირობო არ არის. მოსკოვს ნამდვილად არ სურს განხორციელდეს ისეთი სცენარი, რომელიც უშუალოდ რუსეთს შეუქმნის საფრთხეს, (მაგალითად, თუკი მიგრანტები თავიანთ ქვეყნებში რუსეთის ტერიტორიის გავლით დაბრუნდებიან, რამაც შეიძლება სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობა გამოიწვიოს). აქედან გამომდინარე, ეფესბეს თანამშრომლები ბელარუს მესაზღვრეებთან ერთად პოლონეთისა და ლიეტუვა-ლატვიას საზღვრებთან გამოჩნდებიან სიტუაციის „დასარეგულირებლად“.

როგორც ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის მიმომხილველი ემილ ავდალიანი აღნიშნავს, რუსეთის სტრატეგიული მიზანი მეზობელ ქვეყნებში ძალაუფლების შენარჩუნებაა. ეს ნიშნავს დასავლეთის დისტანცირებას და სამიზნე სახელმწიფოებში პოლიტიკური არასტაბილურობის გამოწვევას. კრემლი ცდილობს

აქტიურად იყოს წარმოდგენილი ბელარუსში, უკრაინაში, მოლდოვაში, სომხეთსა და საქართველოში. ზოგიერთ შემთხვევაში, ის სამხედრო ზეწოლას იყენებს, ხანდახან კი ახალი შესაძლებლობების გამოჩენას ელოდება.[15] ბოლო წლებში იგი დასავლეთის პასიურობით სარგებლობს და თავისუფალ სივრცეებს უყოყმანოდ ითვისებს. ასეა ბელარუსის შემთხვევაშიც. მინსკის მოსკოვთან კოორდინირებულ-შეთანხმებული მოქმედებების შედეგად, ლუკაშენკო მარტო დარჩა რუსეთთან, ძლიერ მოთამაშესთან, რომელიც ნელ-ნელა „ყლაპავს“ ბელარუსს და ამავდროულად, განსხვავებით წინა კრიზისებისგან (საქართველო, მოლდოვა, უკრაინა), ოფიციალურ მოქმედ მხარედ არ არის წარმოდგენილი.

მოსკოვი-მინსკის მოქმედების ტაქტიკა და დასავლეთის რეაგირება

სამხედრო ექსპერტი მარჩინ გავენდა ამ კრიზისის კონტექსტში ბელარუსის კაგებეს შემდეგ ამოცანებს გამოყოფს:

- საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმში მოქმედება;
- საზღვარზე მიგრანტების გადაადგილების ხელშეწყობა, კონტროლი და ზედამხედველობა;
- ოპერაციის ლოგისტიკური უსაფრთხოება;
- მოქმედებათა მხარდაჭერა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გამოყენებით;
- სიტუაციის დაძაბვაზე ორიენტირებული ამოცანების შესრულება;
- საზღვარზე დისლოცირებული პოლონური შენაერთების მუდმივი მონიტორინგი (მაგალითად, დრონებით).

თითოეული მოქმედება მკაცრად გასაიდუმლოებულია. ჯარისკაცებს და ოფიცრებს არ აქვთ საიდენტიფიკაციო ნიშნები.

ამ ერთ დიდ ოპერაციაში განსაკუთრებულ როლს ბელარუსი მესაზღვრეები ასრულებენ. მიზეზი პრაგმატულია – ისინი ძალიან კარგად იცნობენ სასაზღვრო ტერიტორიას და მიგრანტთა ჯგუფებს ყველაზე ნაკლებად დაცულ ადგილებში გზავნიან.

ბელარუსი მესაზღვრეების ძირითადი იარაღი მაკაროვის პისტოლეტებია, ამიტომაც მათ არსენალში სნაიპერული ან ავტომატური შაშხანების გამოჩენა შეშფოთების მიზეზი გახდა. ლატვიის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელმა ჯერ კიდევ 27 აგვისტოს განაცხადა: „რისკი ძალიან მაღალია და ვხედავთ, რომ ბელარუსის სასაზღვრო სამსახური ნორმალურ რეჟიმში აღარ მუშაობს. ეს უწყება აღიჭურვა ტყვიამფრქვევებით, სნაიპერული შაშხანებითა და მსხვილკალიბრიანი იარაღებით, რაც ძალიან საშიში და საყურადღებო სიგნალია ევროკავშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფოებისთვი”. ლატვიურმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზღვარზე

არა მხოლოდ რიგითი მესაზღვრეები, არამედ სპეცრაზმიცაა წარმოდგენილი (ASAM/OSAM). ოდნავ მოგვიანებით საზღვარზე არასტანდარტული იარაღი და დამატებითი ძალები პოლონურმა მხარემაც შენიშნა.[16]

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავიეცკიმ საზღვარზე არსებულ კრიტიკულ მდგომარეობას ევროპის უსაფრთხოების ტესტი, სახელმწიფო ტერორიზმი[17] და ლუკაშენკოს „ჩუმი შურისძიება“ უწოდა[18], ხოლო პრეზიდენტმა ანდჟეი დუდამ პრობლემა შეაფასა, როგორც „შეტევა პოლონეთისა და ევროკავშირის საზღვრებზე“.[19]

მიუხედავად ვარშავასა და ბრიუსელს შორის არსებული დავისა, რომელიც სასამართლო ხელისუფლების რეფორმისა და კანონის უზენაესობის საკითხებს ეხება, ევროკავშირმა და ამ გაერთიანების ლამის თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ პოლონეთს მხარდაჭერა გამოუცხადა. ამის დასტური იყო ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადება[20] და შარლ მიშელის ვიზიტი ვარშავაში.[21]

არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოზიციაც, რომელმაც საჭიროების შემთხვევაში კრიზისზე რეაგირების მზადყოფნა გამოთქვა. ცალკეული წევრი სახელმწიფოების დონეზე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენისა[22] და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ელიზაბეთ ტრასის განცხადებები.[23]

ცალკე სასაუბრო თემაა ამ კრიზისის საინფორმაციო ველი. საზღვარზე მიგრანტების გამოჩენის პირველივე დღიდან რუსულმა პროპაგანდამ ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვება სცადა. ნარატივი მარტივად დასამახსოვრებელი და ემოციურია:

- „კრიზისზე პასუხისმგებელი ამერიკის შეერთებული შტატებია“;
- „ეს საემიგრაციო კრიზისია და არა თავდასხმა ევროკავშირზე“;
- „ევროკავშირის უგუნურმა პოლიტიკამ უმძიმესი შედეგები მოიტანა“;
- „ბელარუსი მიგრანტების დახმარებას ცდილობს“;
- „პოლონელი მესაზღვრეები არაადამიანურ პირობებში ამყოფებენ მიგრანტებს“.

მეტი დამაჯერებლობისათვის, კრემლი ფაქტობრივი დეზინფორმაციის მარტივ მეთოდებს იყენებს: ფოტოების გაყალბება, ცრუ ახალი ამბების გავრცელება წყაროს მითითების გარეშე, ვიდეოგამოსახულებების ფაბრიკაცია, ბელარუსი სპეცრაზმელების ქმედებათა პოლონელებისთვის გადაბრალება, ფსევდოსაინფორმაციო სააგენტოების დამოწმება, საზოგადოებრივი ავტორიტეტების გამოყენება პოლონეთისა და ბალტიის სახელმწიფოთა დემონიზაციისთვის, ინტერნეტტროლების მეშვეობით სასურველი ნარატივის გავრცელება.[24]

დასკვნები საქართველოსთვის

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კრიზისს პირდაპირი გავლენა საქართველოზე არ აქვს, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი მოცემულობა: თბილისის სამი სტრატეგიული პარტნიორი – პოლონეთი, ლიეტუვა და ლატვია –პირდაპირი ჰიბრიდული თავდასხმის ობიექტია.

ასეთ მოცემულობაში ბელარუსთან თანამშრომლობა და მასთან სავაჭრო თუ ეკონომიკური პროექტების რეალიზაცია დიდ ზიანს მიაყენებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას და ზოგად იმიჯს.

უსაფრთხოების კონტექსტში თბილისმა ჰიბრიდული ომის ახალი მექანიზმის, მიგრაციის იარაღად გამოყენების, ფენომენი უნდა გაანალიზოს, ვინაიდან სამომავლოდ, პირდაპირ ან ირიბად, შეიძლება მასაც შეეხოს (თუმცა ამ მექანიზმის ამოქმედება საქართველოს წინააღმდეგ მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რადგან აქ კრემლს გაცილებით უფრო მძლავრი ბერკეტები აქვს, ვიდრე ნატოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში).

არანაკლებ ყურადსაღები საკითხია ქართული აეროპორტების კონტროლიც. საქართველოს სამივე საერთაშორისო აეროპორტიდან (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) პირდაპირი ფრენებია ბელარუსში. თავისი ადგილმდებარეობის გამო, საქართველო შეიძლება ახლო აღმოსავლეთიდან ბელარუსის მიმართულებით წამოსული მიგრანტების გამტარი კორიდორი აღმოჩნდეს, რაც სახელმწიფომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას.

დაბოლოს, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია სტრატეგიული პარტნიორებისა და ევროკავშირის მიმართ მხარდაჭერის გამოცხადება, რაც, დიახ, ბელარუსთან ურთიერთობებს გააფუჭებს, თუმცა ძალიან მძლავრი სიგნალი იქნება რუსული ჰიბრიდული თავდასხმის ობიექტებისთვის. საქართველოს მთავარი მხარდამჭერები და ადვოკატები ხომ ვილნიუსში, რიგაში, ტალინში, ვარშავასა და სხვა აღმოსავლეთევროპული ქვეყნების დედაქალაქებში ცხოვრობენ.

ბიბლიოგრაფია

1. Radio Białystok. 2021. *W sierpniu było 3,5 tys. prób przekroczenia granicy polsko-białoruskiej - informuje straż graniczna.* https://www.radio.bialystok.pl/wiadomosci/index/id/203925 (ნანახია: 16.11.2021).

2. Komenda Główna Straży Granicznej. 2021 https://twitter.com/Straz_Graniczna/status/1456164503587069956?ref_src=twsrc%5Etfw (ნანახია: 16.11.2021).

3. Adam Eberhardt. 2021. https://twitter.com/adam_eberhardt/status/1428415842312769541 (ნანახია: 16.11.2021).

4. BBC. 2021. P*oland border crisis: How are migrants getting there?.* https://www.bbc.com/news/59233244. (ნანახია 17.11.2021).

5. BBC. 2021. *Poland imposes state of emergency on Belarus border.* https://www.bbc.com/news/world-europe-58474475. (ნანახია 16.11.2021).

6. Guardian. 2021. *Belarus escorts 1,000 migrants towards Polish border.* https://www.theguardian.com/world/2021/nov/08/belarus-escorts-hundreds-of-migrants-towards-polish-border. (ნანახია: 16.11.2021).

7. TVN24. 2021. Wiązka lasera skierowana przez granicę. „Zakładamy, że to próba oślepienia naszych funkcjonariuszy". https://tvn24.pl/polska/kryzys-na-granicy-bialoruskie-sluzby-swieca-laserem-w-strone-polskich-funkcjonariuszy-straz-graniczna-publikuje-nagranie-5486679, (ნანახია: 16.11.2021).

8. Polsatnews. 2021. Szef MON Mariusz Błaszczak: Już około 15 tys. żołnierzy chroni granicę https://www.polsatnews.pl/wiadomosc/2021-11-10/blaszczak-juz-okolo-15-tys-zolnierzy-chroni-nasza-granice/. (ნანახია: 16.11.2021).

9. Benas Gerdžiūnas, Indrė Makaraitytė, Jurgita Čeponytė, Kareem Botane, LRT Investigation Team, Michail Maglov and Rūta Juknevičiūtė. 2021. Baghdad to Lithuania: How Belarus opened new migration route to EU. EURACTIV. https://www.euractiv.com/section/global-europe/news/baghdad-to-lithuania-how-belarus-opened-new-migration-route-to-eu/. (ნანახია: 17.11.2021).

10. Forsal. 2021. *Polska wysyła pomoc humanitarną na granicę. Prezydent Duda apeluje do władz Białorusi.* https://forsal.pl/swiat/aktualnosci/artykuly/8277408,bialorus-polska-wysyla-pomoc-humanitarna-na-granice.html. (ნანახია: 17.11.2021).

11. Dziennik. 2021. Premier: Białoruś nie wpuści polskiego konwoju humanitarnego. https://wiadomosci.dziennik.pl/polityka/artykuly/8231199,uchodzcy-usnarz-premier-pomoc-humanitarna.html. (ნანახია: 17.11.2021).

12. Piotr Żochowski. 2021. Wsparcie dla Łukaszenki. Rosja wobec kryzysu migracyjnego. *Ośrodek Studiów Wschodnich.* https://www.osw.waw.pl/pl/publikacje/analizy/2021-11-09/wsparcie-dla-lukaszenki-rosja-wobec-kryzysu-migracyjnego?fbclid=IwAR329WQx8-XPgFMnpn0pHXLRpKk6Zucwn8RuccuIzI-Zz86m2muwDkPqA68. (ნანახია: 16.11.2021).

13. PolandIn. 2021. *Growing tensions on PL-BY border raise questions on possible scenarios.* https://polandin.com/56864905/growing-tensions-on-plby-border-raise-questions-on-possible-scenarios?fbclid=IwAR2EEYErJCEZCT1n9ouwI0-wL9DajO_gfFfjm4TRbVRtsYYUjk6F4ezCYXA. (ნანახია: 16.11.2021).

14. Piotr Żochowski. 2021. Wsparcie dla Łukaszenki. Rosja wobec kryzysu migracyjnego. *Ośrodek Studiów Wschodnich.* https://www.osw.waw.pl/pl/publikacje/analizy/2021-11-09/wsparcie-dla-lukaszenki-rosja-wobec-kryzysu-migracyjnego?fbclid=IwAR329WQx8-XPgFMnpn0pHXLRpKk6Zucwn8RuccuIzI-Zz86m2muwDkPqA68. (ნანახია: 16.11.2021).

15. Emil Avdaliani. 2021. Russia: The Neighbor From Hell. *CEPA.* https://cepa.org/russia-the-neighbor-from-hell/. (ნანახია: 22.11.2021).

16. Marcin Gawęda. 2021. *Militaryzacja kryzysu granicznego po białorusku. InfoSecurity24.* https://www.infosecurity24.pl/militaryzacja-kryzysu-granicznego-po-bialorusku. (ნანახია: 16.11.2021).

17. Rzeczpospolita. 2021. *Morawiecki o działaniach Białorusi: To terroryzm państwowy.* https://www.rp.pl/dyplomacja/art19093141-morawiecki-o-dzialaniach-bialorusi-to-terroryzm-panstwowy. (ნანახია: 17.11.2021).

18. TVP. 2021. *To „cicha zemsta Łukaszenki". Premier o kryzysie na granicy.* https://regiony.tvp.pl/56859940/to-cicha-zemsta-lukaszenki-premier-o-kryzysie-na-granicy. (ნანახია: 16.11.2021).

19. Rzeczpospolita. 2021. *Prezydent Duda: Mimo zamieszek zapobiegliśmy przełamaniu granicy.* https://www.rp.pl/polityka/art19089371-prezydent-duda-mimo-zamieszek-zapobieglismy-przelamaniu-granicy. (ნანახია: 16.11.2021).

20. Rzeczpospolita. 2021. *Ursula von der Leyen: Białoruś musi przestać narażać życie ludzi.* https://www.rp.pl/polityka/art19087611-ursula-von-der-leyen-bialorus-musi-przestac-narazac-zycie-ludzi. (ნანახია: 17.11.2021).

21. Rzeczpospolita. 2021. *Morawiecki o działaniach Białorusi: To terroryzm państwowy.* https://www.rp.pl/dyplomacja/art19093141-morawiecki-o-dzialaniach-bialorusi-to-terroryzm-panstwowy. (ნანახია: 17.11.2021).

22. State Department. 2021. *Secretary Blinken's Call with Polish Foreign Minister Rau.* https://www.state.gov/secretary-blinkens-call-with-polish-foreign-minister-rau-3/. (ნანახია: 16.11.2021).

23. GOV.PL. 2021. *International support.* https://www.gov.pl/web/border/international-support. (ნანახია: 16.11.2021).

24. Polygraph. 2021. *Russia Spreads Disinfo About Belarus-Poland Migrant Standoff.* https://www.polygraph.info/a/31553638.html. (ნანახია: 16.11.2021).